

ქვემოქმედება 1/1958

1917-1958

თბილისის
ბიბლიოთეკა



№ 21 თბილისის ნოემბერი 1958

ნენე

გამოცემის XXXVI წელი ფასი 2 მან.

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ექიმო, უშველეთ ავადმყოფს, საბჭოების უოველ წლის-
თავზე თითო გრადუსი სიცხე ემატება, წელს #1 გრადუსზე ავიდა.
— ძალიან ვწუხვარ. მისის. მაგრამ მაგისი განკურნება
ჩვენს ძალას აღემატება.



უბუნადი სტუდენტების

ოქტომბრის წლისთავი და ას წელიწადს ასი ხელითაც რომ წერო, იმის მესამედსაც ვერ დაწერ, რაც ამ წლებმა დაწერა!

ორი ცალი ფანქარი დავდექე ამ ფიქრებში, მარცხენა ხელის ყველა ფრჩხილზე კბილები მაკრატლად მეორედ ვიხმარე და ფიქრები კი გარბიან. გარბიან და მე დასაჭერად მივდექე. მივდექე ფიქრებს და აი, შუალამისას რომელიღაც სასაფლაოსთან შეჩერდნენ. რა უცნაური ეპიტაფიებია! „პერვი გილდის კუპეჯი გვეურქა კონდახაზოვი. გამველე-გამომველეო, შენდობა უთხარით“. „ფაფრიკანტი სირაჯხანიშვილი. მოყვანო, რა დავუშავე წუთისოფელს?“ „თავადი ანდუყაფარ ანდლახორი. კაცი იყო, ქუდი ეხურა. გარდაიცვალა 1917 წელს“.

საწყალი ანდუყაფარი! ვილაცას იმხელა ქვა დაუდია, თითქოს შეშინებია—საფლავიდან არ ამოიპაროსო. მაგრამ არც უმაგისობაა. აი, ქვა ფეხზე აღიმართა, საფლავი გადახსნა, გაყინული-ლებული ამილახვარი სირაქლემას კვერცხივით ამოგორდა და ცალ ფეხზე გაჩერდა.

— რომელი ხარ, ვეყო?

აუხსენი რომელი ხარ! რომელი გულბაათ ჭაგჭაგაძე მე მნახა, ვუთხრა და გაიგოს.

— კაცი ვარ.

— ვა, ვეყო, ქუდზე გეტყობა.—მიპასუხებს ამილახვარი და საკუთარი ღირსების პატივსაცემად ქუდზე ორივე ხელს იკიდებს.

— ვა რა მოსატანია, თავადო, მე ისიც მინახავს, რომ შაურთან თავს ასმანეთიანი ქუდი ჰხურებია.

— ნახვით, ვეყო, მეც ბევრი რამე მინახავს. შენ ახალგაზრდა ჩანხარ, ჩემდენი სად გექნება ნანახი!

— ასე ფიქრობ, თავადო? მაშ წამოდი და შევამოწმოთ, შენ თუ ის გინახავს, რაც მე ვნახე.

რალაცა მაგიური ძალა აღმომაჩნდა. იქვე ამოსულ ფოლაქისმაგვარ სოკოს თითს ვაჭერ. „პიი-პიი“, იძახის სოკო და შორიახლო „ტუ-104“ დაფრინდა.

— მობრძანდი, თავადო, გავისერნოთ.— ვეუბნები ანდუყაფარს, მაგრამ ჩემ მოსასმენად სადღა სცალია, თვლები „ზიმის“ საბურავების-ხელა გაუხდა.

— ეს რა დოხანაა, ვეყო, ხომ არ შეგეჭამს?

— ჭრა, თავადო, მოთვინიერებულა, არაფერს გვერჩის. ჩვენ ახლა მაგაში ჩავსხდებით და საითაც გვინდა, იქით გავფრინდებით.

— მე აქ დავიციდი, ვეყო!

ხეწნითა და მოტყუებით შემყავს თვითმფრინავში ანდუყაფარი. მფრინავს თვალს ვუკრავ და ერთ წამში დედამიწა სადღაც ჰქრება.

— ღმერთთან ყოფნა ისეც მოწყენილი მაქ, დედაქიწაზე ჩამიყვანე, ვეყო!—ამბობს ანდუყაფარი და მფრინავი ხათრს არ უტეხს, დაბლა ეშვება.

— რა მიარბენინეს, ვეყო, აქ დედამიწასა?

— ჩვენ მიგრბივართ და ასე ჩანს.

— სად მიგრბივართ, რა გვეჩქარება!.. ცოტა დამაცათ, დედამიწას შევხედო. ეს რა არი, კუწუბებიანი ჯოხი რომ გაუღიათ, ბოგირია?

— ევ ჰესია, თავადო.


— ვინა? სესია? რომელი სესია, კაცს რომ არა ჰგავს?

— ჰესია, ჰესი, ელექტროსადგურია, ანათებს.

— მეცა ვხედავ რო ანათებს, მაგრამა, რა სადგურია, პოვეზი ჩერდება, ვეყო?

— ახლა კი მჯერა ჩინელებზე რომ ამბობენ, დიდი სტუმართმოყვარე ხალხია, მოუშვადებლად დაუპატიუებელ სტუმარსაც კი არ ხვდებიანო.

ნახ. გ. ლომიძისა



ძლივს ვაგებინებ ანდუყაფარს ხაბესის მნიშვნელობას და ადგილის სახელწოდებას რომ ვახსენებ, შემკრთალი ამბობს:

— აქ სადღაც კასპია, ვეყო, იმის ჰალაში ნადირობა მიყვარდა.

— გავიარეთ, თავადო.

— როგორა, გავიარეთ და მე ვერ ვიცანი?

— აი, დიდი კვამლი რომ ამოდიოდა, კასპი იქ იყო.

— კვამლიო? რა „დაემართა, ვეყო, ცეცხლი უკიდია?

— არა, ცემენტის გიგანტი ავაგეთ. კასპი ახლა პატარა ინდუსტრიული ქალაქია თავისი პირველხარისხოვანი ტექნიკით.

— იტუტრია, გიგანთიო, ტეკიკაო, რა ენახე ლაპარაკობ, ვეყო, ქართველი ხარ?

— ენაც შეიცვალა, თავადო, ჩვენსას ახლა ბევრ რამეს ველარ გაიგებ.

— დიდება შენდა, ღმერთო!—ამბობს ამილახვარი და თვლების უფრო მეტად გაფართოების შემდეგ ამატებს,—ორმოცი წელიწადია რაც აქედან წავიდე. ასე უცებ რა დაგემართათ! ეს რაღაა, ვეყო, ტიანჭველებივით რო ირევიან?

— ვა ჩვენი დროის ხარ-კამეჩია. მაგიტ ვხნავრ, ვთესავთ, ვმკით, ვლენწავთ.

— დიდება შენთვის, ღმერთო! აქ სადღაც აგარაა, დათვი მოუკლია პაპაჩემსა.

— აგერ ისაა, შაქრის ქარხანას ხედავ? ტკბილი ადგილია ახლა აგარა.

— როგორა, შაქარი ქარხანაში კეთდება? მიჭამია კია, მაგრამა, როდი ვიცოდი სადა კეთდებოდა. სიძე მეყანდა ქუთაიშია, მოდი ერთი იქით გავიაროთ, გავიგოთ, როგორ არი.

— ეს გახლავს ქუთაისი. აგერ, ავტომობილების ქარხანას ხედავ?

— როგორა, ავტანობილებსაც თქვენ აკეთებთ?

— რაღას არ ვაკეთებთ, თავადო, ავტომობილებს, თუჯს, ფოლადს, რკინას და რა ვიცი კიდევ, ვინ მოთვლის.

— ვა როგორ დაგინახათ მიწაი, რა არი, ბოიტანია?

— არა, თავადო, ჩაია, ჩაია.

— რაი მეხუმრები, ვეყო, ჩა ტაქანში უნდა. თვითმფრინავმა რალაცა ერთ საათში გადაუარ-გადმოუარა მთელ საქართველოს. ვინ მოთვლის რამდენი „დიდება შენთვის, ღმერთო“ წამოსცდა ანდუყაფარს. მალე თბილისში ჩამოვეყვითდით და ანდუყაფარი ოჯახში მივიწვიე. რადიო! ტელემიმღები! ოთახში ანდუყაფარის მართო თვლებიც აღარ ეტყევა, ისე გაფართოვდნენ.

ბოლოს მაცივართან მივხვანე თავადი.

— მაგ შკაფს გამოალეგ, შიგ ღვინოა ბოთლებით. გამოდგი და შენი შესანდობარი დაველიოთ.

— რა ცივა, ვეყო!—შეპყვირა ამილახვარმა, როგორც კი მაცივრის კარი გამოალო.

— ვა მაცივარია. ელექტრონით ყინვას ვაყენებთ.

— როგორა, ვეყო, სახშია, ერთ კუთხეში ზამთარია და მეორეში ზაფხული?

— მაშა!

— კაი, ვეყო, რას დამაინი. სიზმარია და დამცინი. ახლავე გამიშვი აქედანა!—კივის ანდუყაფარი და გარბის.

— ცხადია, თავადო, არ გატყუებ, არა!— მივძახი ამილახვარს და უკან მივდექე.

... ისევ ბნელა. ანდუყაფარის საფლავის ქვა კვლავ აიხდა და ამილახვარი სირაქლემას კვერცხივით ჩაგორდა შიგ. ინათლა. ეშმაკმა დასწყველოს, მართლა სიზმარი ყოფილა! ჩემს საწერ მაგიდასთან გამომვლევიდა, შინ ვარ, ჩემს სახლში, ქალღმერთი ფურცლებზე მიდევს თავი. ანდუყაფარი?

იქამც ყოფილა!

ამ დღეებში ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას ეწვია პოლონეთის ქ. პოზნანის სატირული ჟურნალის „კაკტუსის“ რედაქტორი იულიან მიკოლაიჩაკი. ებეჭდავთ მის ერთ-ერთ სატირულ მოთხრობას.

ნან. ჯ. ლოლუაბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იულიან მიკოლაიჩაკი

დისკუსია

კამათი არ წუდებოდა, მიედინებოდა ლაღად და თავისუფლად როცა ორმოცდამეორე მომხსენებელმა აიღო სიტყვა, თავმჯდომარემ საჭიროდ ჩათვალა დაერღვია მისი დინება.

თავმჯდომარე: მსურს გაგახსენოთ, რომ თათბირის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. გთხოვთ, რაც შეიძლება მოკლედ...

43-ე მოკამათე: პრობლემა, ბატონებო, უდავოდ საყოველთაოა. ჩვენი ლიტერატურა დემორალიზაციას თესავს. ამ წამდენიმე დღის წინ მე წავახსარი ჩემს 12 წლის ბიჭუნას, როცა იგი ყურს მიგდებდა ოთახის კართან, სადაც მე ხმამაღლა ვკითხულობდი არეტიკოს „კურტიანთა ცხოვრებას“.

44-ე მოკამათე: ძალზე ფიტავს ჩვენი ახალგაზრდობის ტვინს პერიოდიკაში მოთავსებული შიშველ ქალთა სურათები. როცა კი შინ მოვიტან მსგავს ჟურნალს, ჩემი 15 წლის ბიჭი სამართებლით ამოსჭრის ყველაზე ეფექტურ სურათებს, ვიდრე მე თვითონ მოვასწრებდე ამის გაკეთებას.

45-ე მოკამათე: ბატონებო, კმარა თავზე ხელის გადასმა. დროა დავაშროთ მორალური თავაშვებულობის წყარო. მე გავიხარჯე და მხოლოდ ხლასკას¹ ერთ წიგნში დავითვალე რამდენიმე ათეული სიტყვა, რომლებიც ასე „ტ“-ზე და „ბ“-ზე იწყება, თუ არ დავითვლით კიდევ რამდენიმე შედარებით უფრო დამახასიათებელ სიტყვას. შეგიძლიათ შეამოწმოთ, ყველა ეს სიტყვა მე უბის წიგნაკში გადავწერე.

46-ე მოკამათე: ერთმა ნაცნობმა მიაჩნია, რომ მისი 13 წლის ქალიშვილი, თურმე, ჩუმ-ჩუმად აცოცებს მამის საფულედან პორნოგრაფიულ სურათებს, ისეთს, რომელიც, კარგად მოგეხსენებათ, მხოლოდ დიდი ნდობის შექთხვევაში შეიძლება აჩვენო კაცს. რა მომავალი გველის, როცა ასეთი ახალგაზრდობა გვეზრდება.


47-ე მოკამათე: არანაკლებ დამნაშავეა ამ საქმეში საზღვარგარეთული ფილმებიც. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ეს ბრიჯიტა ბარჯოტი. თუ მიაქციეთ, ამხანაგებო, ყურადღება მის გამომწვევად ამალღებულსა და მკვირვ მკერდს, რომელსაც, შესაძლოა, ჩიქნი ცხოვრებისათვის უფრო მეტი ზიანი მდაქვს, ვიდრე ყივანახველას ან ბიუროკრატიზმს. ან სად ვეძებოთ მიზეზი იმ მდგომარეობისა, როცა ჯინა ლოლობრიჯიდას თქმობენ, ჩვენს შორის დარჩეს და — ჩინებულად გამოქანდაკებული, ხშირად იქცევა ახალგაზრდათა დისკუსიების ლეიტმოტივად? შემდეგ: თუ ყურადღებით დავაკვირდებით მერილინ მონროუს ბარძაყებს, განსაკუთრებით მათს ზემო ნაწილს, მაშინ...

თავმჯდომარე: სამწუხაროდ, თათბირისათვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. დავამთავროთ ჩვენი კონფერენცია. მაღლობას მოვასხენებ კოლეგებს თათბირში მონაწილეობისათვის და ამასთან ერთად მოგაგონებთ, რომ სამდივნოში მიიღებთ საბუთებს, რომლითაც მონაწილეობას მიიღებთ ცენტრალური პოლონეთის ულამაზესი ქალის გამოსავლინებელ კონკურსის ჟიურიში.

1. ხლასკა — თანამედროვე პოლონელი მწერალი. თავის ნაწარმოებებში უპირატესად ასახავს ცხოვრების უკიდურეს ზარყოფით მომენტებს ხედმეტად გაშიშვლებულ ფორმებში. პოლონეთის საზოგადოებრიობამ მკაცრად გააკრიტიკა ხლასკა. უკანასკნელ ხანს იგი საფრანგეთში ცხოვრობს. მთარგმნელის შენიშვნა.



— დედა, რატომ მიწევს ხოლმე ყურებს?
— იმიტომ, რომ გაიზარდო, შვილო.
— მაშინ მამას რატომ არ უწევს ყურებს?



— რატომ მიჩაგრავთ ბავშვს, რატომ უწერთ ორებს, ეგ ისეთი წყნარია, ხმას ვერ ამოვადებინებ გაკვეთილზე.
— ხმა რომ ვერ ამოვადებინეთ, იმიტომ ვუწერთ ორებს.

პოლონურიდან თარგმნა ქ. მლინეკმა

— უფრო ღენ, კრებები
მავსო, შეუნება.
მდგომარეობა გართულდა.

კოლა იმდენი ქნა, რომ
მოთხოვა ათქვეყნა, რა
უფლებები ფიქრზე ღე, სად
დაცხადებოდა სავაშობო-
ბით და სად მიმგონდა ჯამა-
გირის ნახევარი.

შეინგნული შევეცადი
ჩემი სოლის მესილდებზე.
უფრო მაგადაც დადებულ
ვალტზე (ე. ი. მე) იგულის
ქალი დავიკა.

— ვინაა ეს გოგო? — იყი-
ვლა ჩემმა კოლმა.

თავში დამეცხლა. ფარ-
დის იქნა და დავაჯილი
ქალის და, იმდროინდელი
სოლი, ჩემი მდიდარი წარმო-
მდგომარეობა იყო.

— ფეს ველარ შემოღავს
სახლში! — ცბიერები ვცარა
ჩემმა კოლმა.

უფრო კი მჭინდა შემო-
დგული, მაგრამ გარეთ რო-
გორ გამეშვო, იმას ვიფი-
რობდი.

კოლა რომ დაწინადა, ახლა
თავისთავზე ისურვა
ქალადის გამსლა.

— ზეგრობი იქნება სავეა-
ცხად ადამიანისაგან! — განა-
ცხად ჩემი თუჯის ამრევი.
ქვემა პაწარაილა. არავისა-

გან არ ველოდი მოკითხვის.
ამას ისიც დაწერა, რომ
კოლის საველე მზავრობა
უბინარაგონად იყო, რასაც
დღი სხიარული მოეცემა.

გული ყელში მომეჭინა.
ნულუ მეტ რქოსანთა ჯგუფს
მეკუთვნო?

უფრო გულის კალს (ე. ი.
ჩემ კოლს) ყვავის ვალტზე
დამეკა.

— ვინაა ეს ქრები ეა-
ცე? — მინახულად იციხა
ჩემმა კოლმა.

— ვინაა ეს ოხერი-მეთ-
ქი? — დავილოდი მე და
შუბანდანი ვავერდი.

ბოშა ქალი თვლის დახა-
მზამზამი გავრა. ვაგონებუ-
ლი კოლა გულის წაქეცა
პაწარებდა, მისაჲ სპორტო-
ნი ითქვამს რომ დავუწე-
მებოდა, ვიხერხე ჩამოვი-
და; შინ ქრები, ღენ გენა-
ცხად, ვილაკე ქრების ქალის
ბეჭეტის ნე უსწინო.

მხოლოდ მემამე დღეს
დამეშობი.

რა თქმნა უნდა, დირექ-
ტორი ვერ ვიგებდი, ნანატრი
ბივის მგებოდა ტუტე გო-
გა მგებინა, მაგრამ ყველა-
ფერს შევეცდი, ოთხი წელი-
წამს ვაფიქრე რომ მასწავლ-
ნა, ტანში მავირობებს.
პარი პარალელონი



— მამიკო, დამხმარე უფროსის ამოცანაში...
— მე, შვილო, ნაცნობობთ თუ დაგეგმარებთ...

ბენვის პედაგოგი

ომამდე ბეწვეულის მალაზის მგაბ-
რონე ვიყავი. ერთხელ ერთი ლამაზი
ქალი მოვიდა, განზე გამოვიძი და მით-
რა, ბეწვის პედაგოგი მინდა, მაგრამ ჩემი
ქმარი ამსილდე ხარეს არ ვასწავს.
სავერელი კი ღარისა, ამიტომ პალ-
ტის ნახევარ ფასს სავერელს მოვადა-
ნინებ, მერე ქმართან ერთად მოვლა
ნახევარფასად პალტოს ვაქიღებო.

მე მოწმუნე ვალტზე და ასეთი თაღ-
ლითობის ჩანდა მერეღობადა მივიდე,
მაგრამ ჩემს რწვენას ვაბურღმა სხიარ-
ულ სქლია და დავანახებდი.

სავერელმა სავერელი ფასს ჩამოთვა-
ლა.

მერე ქალმა ქმარი მოყვანა, როგორც
იქნა, დათანხმა. მერე წავიდენე ფელის
მოსატანად. ახლა მარტო ქმარი დამ-
რუნდა და ერთი პალტო კი არა, ორი
შეიძინა, თანაც თვალი ჩამიკრა და გა-
მიღობა.

თაღლითურ საქმეში გარეგან ბეწვი
ფული დამავარგებინა.
ახია ჩემზე.

ნანა ქანდელაქაძე



— ახლავ მომეცით ხაჭაპურს წიგნი.
— კი მაგრამ, რად ვინა? —
— როგორ თუ რად, ჩემი ბავშვის ხარკი ახარკო
გაქეო და სახვეწი მალაზია კი ჭკვია.

თხა მაკიდისთან ფიქრობდა მწვიდალ,
ხან ფრიხადე სწერდა, ხან ისევ შლიდა.
როდესაც შუტარ ზარი კვირდა,
განცხადებდა დასვე წერდა.
ქათმა ფრცხელს უმარა დახიანს
და ერთხელ კარგად ვადაქიღებდა.
კარგად ხანა მავრელის იგი.
პირველ წიგნს ჩემსა დავარქვევ
კვირისა. შინ ნახავი წერგებს თუ როგორ ვეკრებით.
და მემწმუნებოთ, არ ვაგოცხად
და მიწმუნებოთ ზამთარში მომეცით.
განცხადებდა მისაქველს ბეწვი,
თხასაც შუტარს რქები და შვერი. —
სიტყვები ითქვა გრძობობით საველე,
კანთის შემდეგ ჯიხმა თქვა ასე:
— თხა რომ იქ დავიკო ხაჭაპური მთელი,
ბოსტანზე უნდა ავიღო ხელი.
ამ სიტყვის შემდეგ წამადგა შველი,
წყლის ჩასვლა უკრ კობტა ყელი
და მერე ზარი გამოსთქვა მტკიცედ:
— თხა მიღწევაში სამი დღით მომეცით,
რომ გავწინოს ნამდვილად ბოსტანი,
სამი დღე თხისთვის არ არის ცოტა.

მთლი, წერილობით დევუტად სტრიქონს,
იგავის მორალს მიხედვით თვითონ.

ბიზნესობა

„საბანკო“ რა ქნა

საბანკო რა ქნა

ერთი კლიენტისა, რომელიც ცნობილი პროფესორ-ინვესტიციონის
ხელმძღვანელობდა მუშაობდა, მიუცავს ავარიზმ მოხედრად ახალგაზრდა.
— მშობლები გვაყო! — შეიკანა პროფესორი.
— მშობლები... არ მახსოვს... — ამოგონა ახალგაზრდა.
— გასაკებია! — შრაგანდინი შენელოვან და წარმოთქვა პროფესორმა და
მყურანდ ექმის მიუჩრდა:

- მესხიერების გამოთხვა ფსიქიური ტრაგედიის წინადაგვა მოათავსო
ცალკე პალატაში, რათა ავადმყოფობთან კონტაქტა ხელი არ შეუშალს
წარსულის მოგონებაში. დაუნიშეთ ბრომის პრეპარატები. გასაფხველ; აქ
გადამწევები სიტყვა ძალით მყურანლობას ეკუთვნის!
- ერთი კვირის შემდეგ, რაც დაზარალებული საგრძობლად მოქო-
ბინდა, პროფესორმა სცადა განეგრძო შეწყვეტობი საუბრისა:
— ახა, ახლა რას ტყვის ჩემი ავადმყოფი, გასხიეთ მშობლები?
— არ მახსოვს, — იყო პასუხი.
— მოიფიქრე, — შომაგონებულად ტონით დაიწყო პროფესორმა, — მისი
ქალბრა თმები... დიდეს ტკბილად „ავანანა“...
— არ მახსოვს, ბავილო, — ნერვიულად შეაწყვეტინა ავადმყოფმა —
ცხრა თვისა დაგონებულად!

ერთი დამსვენებელი შემოხვევით შევიდა სანატორიუმის სამზარეულო-
ში და ნახა რომ მზარეული ჯიხმა ნაწილდა ხორცს კერძებსა. აღმო-
თებულმა დამსვენებელმა ამის შესახებ მუხბეფ დირექტორს მოახსენა. დირ-
ექტორმა ურთაღმდეგო მოსულმა მას და დამსვენებელს: შეადიანე საგანგებო
წომებს შევიდოდა.
მერე დღეს სამზარეულოს შესახველეს ამხვენილად წარწერა: იგარე-
შე პირთა შეხვლა სახეკად აკრძალულია!

გამოცედა

სხვათა შორის, ამ პროფესორმა ერთხელ ნამდილად მოაჩინა ავად-
მყოფი, რომელიც თვისიერების დაქვეითებას უჩიოდა, მყურანლობის დამთავ-
რების შემდეგ მან თვისი პაციენტი ექიმთა კონფერენციას წარუდგინა, დაწ-
ვრილობით მოუხირო კლიენტებს მისი განკურნების ისტორია და დასძინა:
— ამიწერე პალატა, სადღე იწვიეთ, — უთხრა ავადმყოფს ერთმა ექიმ-
თაგანმა.
— ნენლი თანაზა. მალდა თოქია გაბმული და ზედ ბუზის საკერი
ლენტები მკითხა, — მიუფო ავადმყოფმა.
მერე მკითხა: — გარდა ბუზებისა, თქვენს პალატაში სხვა სულდგმე-
ლები თუ ბინადრობდნენ?
— როგორ არა, — გავლიმა ავადმყოფს, — ბალდინო და ხოქოები,
ხანდახან ვერაფრებულად ვადაგრძობდნენ.
— ამის შემდეგ ავადმყოფის მესხიერების სრულფასოვნობაში ეჭვი აღ-
არა და შეშარგავა, მაგრამ მის მყურანდ პროფესორს მინაც გუნება გაუ-
ფიქრდა.

მუხარ შარაშიძე



— შეხედე, შეხედე, დაიკო თვისი ხალხს ლუბს აქვს!
— საწყობის მთელი კონება შუა აქვს და ხან რას იზამს!

ახალი ამბავი

- ახალი ამბავი იცი?
- არ ვიცი.
- ერთ ფერმაში სამასი ქათამი დაკლებიათ.
- ვის შეუჭამია?
- მელიას.
- არ გადამრიო!
- აბა, დარეგია ქორთვა ვარიებს და სულ მრავალუმიერი უძახია.
- მერე, პატრონი არ ჰყავდა იმ ფერმას?
- პატრონიც თვითონ ყოფილა და ბატონიც.
- ჰო, რა მადა ჰქონია მაგ სამგლეს!
- მარა, ჩამწარდება, რაც ჰქონია.
- დაიჭირეს, თუ?
- დაიჭირეს კი არა, ბევრზე ჰქონია იმისი ბელი.
- როგორ მოახერხეს?
- მან დაუგიათ ფერმის თანამშრომლებს.
- აქამდე ვერ დაუგეს?
- აქამდე ტყავს უფრთხილდებოდა.


- ტყავი მართლა გასაფრთხილებელი ჰქონია.
- იცოცხლე, ახლა ტყავს გააძრობენ.
- ოჰ, მაგის ტყავი მომცა ხელში...
- თურმე ცრემლები წამოსვლია.
- ეგ ისეთი ეშმაკია, კუდაც დაიყენებდა მოწმედ.
- დაიყენა, მაგრამ მაინც გალიაში ამოაყოფინეს თავი.
- ახია მაგ მსუნაგზე.
- მარა, რომ იცოდენ, მართლ არ უჭამია.
- რა იცი!
- უთქვამს, რევიზორსაც ვაქმედებო.
- რა დროს ხუმრობაა, თუ ძმა ხარ!
- ბავშვები მომიკვდეს, თუ ვტყუოდე.
- რა, კაცო, მხეცმა თქვა?!
- ანტიფო მელიაზე გელაპარაკები.
- შენ დაიღუპე, თავიდან ვერ თქვი?
- მხეცს აბა ამდენს ვინ შეაქმევდა!

ჩარლი



ნან. ჯ. ლოლუასი


- ეს ძოვით დიდი გატაცებით კითხულობს ლექსებს.
- სამაგიეროდ ლექსებიც გატაცებული აქვს.



ნან. დ. ერისთავისა

- ბრალდებულა, დამცველი არ გინდათ?
- რას ამბობთ, პატივცემულ მოსამართლე, ნეტავი ესენიც არ მიცავდნენ.

რულოვ ფიქვი



(თითქმის სიყვარულის ისტორია)

ქალი იყო თვრამეტის. კაცი—ოცდათექვსმეტის. კაცი ელოდა ქალს, დღეს ამ საათზე. და ქალიც მივიდა... რამდენი დღე ებრძოდა ქალი თავს. უკანასკნელ ღამეს კი თითქმის არ ეძინა. დიან, ასე გასინჯეთ, იტირა კიდევ. თვრამეტი წელი... დილას ქალმა დაურეკა კაცს. ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს. სახელების გარდა ორივემ თითქმის არაფერი იცოდა ერთიმეორეს შესახებ. აკანკალებულმა ქალმა გაუწოდა კართან ხელი მამაკაცს. იგი მაშინვე მიხვდა, რა მდგომარეობაში იყო ქალი: თვალები დაბინდული ჰქონდა, უბეები—ჩამუჭებული. დაეხარა მას პალტოს გახდაში და ოთახში შეიყვანა. შემდეგ უკვე მის გვერდით... ქალმა ისევ დაჰკარგა მოკრებილი მხეობა. ო, რა კარგი იქნებოდა ახლა წამოხტომა და გაქცევა, მაგრამ არა! უკვე გვიან იყო. კაცი დაიჭერდა შეშველად და ეტყოდა, რომ... ქალმა მუხლები შეატყუა, რომ ფეხების კანკალი შეეჩერებინა. კაცი ხედავდა ამას და ძლივს იკავებდა ღიმილს.

შემდეგ მან მოხერხებულად გაუსწორა სავარძელი და პატარა მაგიდა მოსწია.

ქალმა თვალზე ხელები მიიფარა, თითქოს მაგიდის მონიკლებულმა, პრიალა ზედაპირმა დააბრმავა.

კაცმა საგვგეტი მიაწოდა.

— ინებეთ! — უთხრა მან. კაცის ხმა მშვიდად, თითქმის ნაზად ჟღერდა. ნაცრისფერი თვალის მბრძანებლურმა მხერამ აიძულა ქალი მორჩილად მიყრდნობოდა სახურგეს.

ახლა კაცი სულ ახლოს იყო მასთან. ქალი მისი მუხლის სითბოსაც კი გრძობდა საკუთარ ფეხზე.

ერთხელ კიდევ აღმართა ქალმა ხელები სუსტი წინააღმდეგობისათვის.

— მეშინია! — წაიჭურჩულა მან ცახცახით. — ეს ხომ პირველადაა!

— მაგრამ, მაგრამ... — ამშვიდებდა კაცი და ღიმილით აქნევდა თავს. როცა იგი ქალის ტუჩებისაკენ დაიხარა, ქალმა თვალები დახუჭა...

კაცმა აიღო ინსტრუმენტების მაგიდიდან ქანგი და... თვალის დახამხამებაში ამოაძრო მტკივანი კბილი.

გერმანულიდან თარგმნა

დ. კოკიაშ

ამბობენ

...რომ ჩაი ძალიან კარგი სასმელია, მურაბიანი ჩაი კი პირდაპირ მისწრებაა. ყოველივე ამის გამო ჩაიზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. როგორც ამ ბოლო ხანებში გამოირკვა, ასეთივე თვალსაზრისისაა ჩაიზე ჩონატაურის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. დ. თოხაძე. კულტურის მუშაკის ჩაისადმი ასეთი ღრმა პატივისცემა მოსაწონი კი არა, უფრო მეტიც არის. მის მიერ ამ საქმეში ჩატარებული ღონისძიებები ფრიად განმაურდა და „ნიანგის“ ყურამდეც რომ არ მოსულა, ძალიან გვიკვირს, არადა „ნიანგმა“ რატომ არ უნდა იცოდეს, რომ სოფელ ბურნათში კინოსურათის ჩვენებისათვის განკუთვნილი დარბაზი ჩაის მიმღებ პუნქტად აქციეს, ჯერ დროებით, მერე ერთი კვირით და, ბოლოს, სამუდამოდ. კარგი ღონისძიებაა. ჩაის კრეფის შემდეგ გლესს რა უნდა კინოში, წავიდეს სახლში, ჩაი დალიოს და დაიძინოს. ამ გონივრულ გადაწყვეტილებას აღმოუჩნდნენ „მოწინააღმდეგენი“ და პროტესტი განაცხადეს. ამხანაგმა თოხაძემ უკან რო-

დი დაიხია, მან რაიონის გაზეთს „ბრძოლის დროშას“ აცნობა, რომ „15 მაისიდან კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოთხოვნით (რადგან კინოსურათის ჩვენებისათვის განკუთვნილი დარბაზი გამოყენებული იქნა ჩაის ფოთლის მისაღებ პუნქტად), ბურნათი ამოღებული იქნა კინოს ჩატარების გრაფიკიდან“. მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, თოხაძემ გამოიჩინა დიდი ღმობიერება და შესაძლებლად ჩათვალა ბურნათში კინოს საჩვენებელი ფარდულის მოწყობა. აქეთიქით კიდევ გაისმა უკმაყოფილო ჩურჩული — ჩაისთვის აეშენებიათ ფარდული და ჩვენთვის ჩვენი დარბაზი დაებრუნებიათ ის აჯობებდაო. მაგრამ იმათ ვინ კითხავს.

იმედია ამხ. დ. თოხაძის უშუალო ხელმძღვანელობით საჭამიასერშიც იგივე მოხდება, კლუბი და ბიბლიოთეკა-სამკითხველოც ჩაის მიმღებ პუნქტად გადაკეთდება, მაგრამ აქ ერთ უხერხულობას აქვს ადგილი — საჭამიასერის კლუბში და ბიბლიოთეკაში ისე წვიმს, როგორც საკოლმეურნეო ფართობში და ასე ცის ქვეშ ხომ არ დაყრიან ჩაის!

კარგი იქნება თუ კლუბს და ბიბლიოთეკას შეაკეთებენ და ჩაის პუნქტად გამოიყენებენ. ალბათ მაშინ მოისვენებს ამხ. თოხაძე, წავა სახლში, მურაბიან ჩაის მიირთმევს და მშვიდად დაიძინებს.

რ. სხვიტარიძე



— უკაცრავად, თერმომეტრი ხომ არა გაქვთ?
— შენ, თუ ძმა ხარ, სიცხე ხომ არა გაქვს?!

...რომ ხილნაღის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბეში თოლლანთ უბნის მისაღვამებთან წვიმის დროს ლაფი დგება, გამვლელებს თავამდე სწვდება და ჩივიან, სოფსაბჭოს მესვეურების ნაცვლად თავს ლაფი ჩვენ გვეხმისო.


დღე კიდევ არა უშავს რა, კაცი ტალახს გვერდს მაინც აუქციევს, მაგრამ ღამე ელნათურები სინათლეს არ გა-

მოსცემენ — აქაო და ძაბვანაკლებიაო. თუ „ნაკლები“ დროზე არ გამოსწორდა, ელექტროგაყვანილობა მარტო ფორმისათვის ხომ არ უნდა იყოს?

...რომ იმავე რაიონის სოფ. ვაქირის ერთ-ერთ უბანში მიწების დაზიანების გამო წყალი ძალზე დაგვიძვირდაო.

რა უნდა გააკეთოს ვაქირის სასოფლო საბჭომ, რომ წყალი გაიფლეს?

უწყალს ლაფიაზვილი



უტექსტო ხუმრობა

ნახ. ა. ერასიმა

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 2-13-29.

გამომც. № 21. ხელმოწ. დასაბ. 22/X-1958 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯვ. № 1070. უფ. 06948. ტირ. 40.000.

Handwritten numbers and stamps: 2476, 14/11, and a circular stamp with the number 58.

ვანტანგ გორგასალი — როგორ დაუბუკებდა თბილისი, მახსოვს, ისეთი ჰატარა იყო, მტკვარზედმა გასვლას ვერ ბედავდა, ახლა კი სად წასულა!

